ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 256

“9” ივნისი 2023 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, ომარ ხიზანიშვილის ქუჩა №41-ის მიმდებარედ 37 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.11.12.004.216) პირდაპირი განკარგვის წესით მურმანი ღონღაძისთვის (პ/ნ. 57001003366) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქ. თბილისში, ომარ ხიზანიშვილის ქუჩა №41-ის მიმდებარედ 37 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.11.12.004.216) პირდაპირი განკარგვის წესით მურმანი ღონღაძისთვის (პ/ნ. 57001003366) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 31 მაისის №23.779.860 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, ომარ ხიზანიშვილის ქუჩა №41-ის მიმდებარედ 37 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.11.12.004.216) პირდაპირი განკარგვის წესით მურმანი ღონღაძისთვის (პ/ნ. 57001003366) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 6 660 (ექვსი ათას ექვსას სამოცი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე